საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030618022482021

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/5791 **29 / დეკემბერი / 2021 წ.**

მოქალაქე ილია სადღობელაშვილს

ბატონო ილია,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიმდინარე წლის 21 დეკემბრის № 01/20944 წერილით გადმოგზავნილი თქვენი განცხადება (N125929 21.12.2021), რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია, ვაქცინირებულ პირთა რაოდენობის შესახებ.
აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში სრულად ვაქცინირებულია 814771 პირი. მათ შორის იდენტიფიცირებული იქნა SARS-CoV-2-ის ლაბორატორიულად დადასტურებული 11403 შემთხვევა.
2021 წლის 15 მარტი - 30 სექტემბრის პერიოდში >18 წლის პოპულაციაში რეგისტრირებულია SARS-CoV 2-ით დადასტურებული 5469 ლეტალური გამოსავალი, ამ შემთხვევების 98.96% (5 412) არავაქცინირებული იყო, ხოლო 1.04% (57) - ვაქცინირებული.
სრულად ვაქცინირებულ პირებში COVID-19-ით განპირობებული სიკვდილიანობის მახასიათებლებისა და რისკების დეტალური ანალიზი, ვაქცინების, თანმხლები დაავადებების, ჰოსპიტალში დაყოვნებისა და სხვა კლინიკური თუ სოციო-დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით წარმოდგენილი იქნება წლის შემაჯამებელ ანალიზში. ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაცია ქვეყნდება ცენტრის გვერდზე http://www.facebook.com/ncdcgeorgia.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლალი ებანოიძე